


სიყვარული

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კაპ.



ნ. გ. ლოლუასი

— გოგონი, მტკიცე ფასეზი ვერ მასადილვბთ?



ვერასოდეს დავასრულე მკურნალობა კბილის: დღეს რომ ერთი დავაყურო, სვალ სხვა აწყებს ტკივილს, ეკალივით მემშინია ცივისა და ტკბილის...

გადაწყვიტე, მეც მოვექცე ისე ამ ჩემს კბილებს, როგორც არქიტექტორები ექცევიან თბილისს: მოვიშორე გაბზარული, მივაცოლო მთელიც, კენტად ერთიც არ დავტოვო, მოსაგონრად ძველის, რომ გარჩევა არა მქონდეს მწარისა და ტკბილის, აღარც განცდა მაწუხებდეს ცივისა და თბილის, შუქისა და ჩრდილის, კენტისა და წყვილის... სხვა კბილეუი ჩავიყენო, ცემენტის და ცვილის, თუნდაც ჰქონდეთ გამძლეობა შოკოლადის ფილის... როგორც არქიტექტორები ექცევიან თბილისს!

— გაჯაფხულო, დაღრცვილო, დროზე მოდი, თორემ გავიყიდეთ ავანტ ხელში.

აკაკი გელოვანი

განსაღმარებელი ისტორიის

(ირონიული პროზა)

— როდემდე უნდა იყო რადიატორით ცივი და უკარება? — სახლმმართველის ინტონაციით ვკითხე სინთეტურ ნაძვის ხესავით მომხიზვლელ ჩემი გულის კიბოს, რომელსაც „ლუქსში“ თავის ფასად ნაყიდი „მოყეტ ბიცი“-ის სურნელი ასდიოდა. ვკითხე და იმედის თვალი შევავლე ქართული კონიაკის ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას. ამ კითხვამ ნეილონის პერანგით მომაბეზრა თავი. მინდოდა, საბოლოო პასუხი გამეგონა მისგან და საცხოვრებელი მასივით მრავალფეროვანი ცხოვრებისათვის მიმეცა თავი, ან არა და, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პარკეტით მტკიცე, გამძლე, დიდებულ იოჯანი შემექმნა რელსივით გულჩვილი სიდერ-სიმამრის ლოცვა-კურთხევით. კარგა ხნის მანძილზე ჩვენი სიყვარული ეთერზეთოვან კულტურასავით ხარობდა და ყველაფერი ალბერტ აინშტაინის სპეციალური და ზოგადი ფარდობითობის თეორიებით ცხადი და ნათელი იყო. ერთი წამით არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ სამყაროს სამი განზომილება აქვს და მომავალი აწმყოში იბადება, როგორც კვერნის ტყავის ქურჭი — კვერნის ტყავისაგან. ჩემი პიროვნება ბულდოგურივით ძლიერი სულისა მეგონა და მომავალიც ისე განადგებულ, როგორც ცნობილ ფეხბურთელს — გასტრონომის დირექტორის ადგილი.

თურმე ყველაფერი ამინდის პროგნოზივით უტყუარი არ ყოფილა რთული და თავსატეხი მოკლენებით სავსე ცხოვრებაში: ერთ მშვენიერ დღეს ცეცხლსაშიში გაზივით შემოიპარა ავი სული და მეოთხე განზომილებასავით მოულოდნელი მონოლოგი ათქმევინა ნახევარს, რომლის წყალობითაც მე გამრთელებას ვაპირებდი: — ჩვენი სიყვარული პტოლომეს გეოცენტრულ სისტემასავით უდღეური იქნება, თუ ასტრონომიულად უმოკლეს დროში რაიმეთი თავი არ გამოიჩინე და ხალხი არ აალაპარაკე! ჩემი ქმარი სატელევიზიო ანძასავით ადვილი შესამჩნევი უნდა იყოს ქალაქში! ამ სიტყვებმა სამყაროს წარმოშობის კანტ-ლაპლასის ჰიპოთეზით დაშვებული პირველყოფილი ნისლოვანება გამოიწვია ჩემს თავისქალისშიდა სიგრეში და ტელევიზორის ეკრანივით შუქჩამქრალი თვალები ჩემი მომავალივით გაურკვეველ წერტილს მივაბჯინე. — რა ვქნა ახლა მე? — ოტელოსავით ვკითხე საკუთარ თავს და ვეტერანი კულტმეშაკივით ჩავეფალი ფიქრებში. სატრფო თბილისური ფეხსაცმელივით ადვილად მოვიპოვე, მაგრამ მისი შენარჩუნება ჩემპიონობასავით გამძინელდა. — დაიხე უკან! — მსაჯივით შემომძახა ზედმიწევნით შინაგანმა ხმამ.

დავიხე და ყური მივუგდე გულს, რომელიც თბილისური ტრანსპორტის რიტმით მუშაობდა. ხახა ცხელი წყლის ონკანივით მქონდა გამომშრალი. შემდგომი ბრძოლა იგივე იყო, რაც ცირკის თალიდან თავით გადმოხტომა უბადლო. მაინც გადმოვხტი და ის კითხვა დავსვი, რომლითაც ამაზავი დავიწყე... მან იანვარივით გულთბილი მხერამტყორცნა და მეშვიდე სენსის ჩამტარებელ თოვლის ბაბუასავით მითხრა: — მიიხედ-მოიხედ, რა ხდება შენს გარშემო!... მითხრა და მეორე კოსმოსური სისწრაფით გაუჩინარდა ატმოსფეროს უკიდურესად ქვედა ფენებში. მე მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილესავით ვიგრძენი ჟანგბადის ნაკლებობა და სტომატოლოგის პაციენტივით დავაღე პირი. მერე ისევ დავმუწე და სიყვარული სიბრძნის კბილივით უყოყმანოდ მოვიცილე. სიცოცხლე კოოპერაციულ მშენებლობასავით სწრაფად მირბის, ფეხბურთის მწვრთნელივით ვარიანტების რჩევის დრო აღარა მაქვს. ახლა იმ მეკარესავით ვარ, რომელსაც პენალტს ურტყამენ და წინასწარი განძრევის უფლება არა აქვს. შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში?..

ლერი ჩანტლაძე

ჩემს თავს ყველაფერში უიღბლო კაცად ვთვლიდი და ცოლის შერთვაში ჩემისთანა ბედი ღმერთმა ჩემს მოკეთესაც მისცეს!

ვიცი, ახლა იტყვი: ცოლის შერთვით კმაყოფილი ვერ კაცი არ მინახავს და შენ რა ბედი შეგხვდა ამისთანაო!

არც ის იფიქროთ, ლამაზი ცოლი შევირთე და ამით ვარ აღტაცებული.

არა!
ჩემი ცოლი ულამაზო რომაა, სწორედ ამით ვარ მოგებულ-ლი, თორემ ლამაზი ქალი დაგიჯდება და იმას გაგიკეთებს, რასაც ჩემი ცოლი აკეთებს?

— იბოლიტე, გინდა ფულიანი ქალი გათხოვო? — მკითხა ერთ დღეს ერთმა კეთილისმსურველმა მეგობარმა.

— ფულიან ქალს ჩემისთანა უფულოს ვინ მიაშავებს, თორემ კი! — ვუთხარი გულგატეხილმა.

— ეგ ჩემზე იყოს, შენ თანხმობა მომეცი!

— ბიჭო, ფულიანი ფულიანს ეძებს და... რამდენი აქვს მაინც?... — წამძლია სულმა.

— არა, ფული შინ კი არა აქვს!

— აბა?

— ისე, ენები იცის...

— რა ენები, კაცო, ხომ არ გაგიჟდი!.. ენიანი ქალი ოჯახში რავე შემოიყვანება!

— ბიჭო, ის ენა ფულია!.. დამიჯერე, შენს ცხოვრებაში ბედნიერი იქნები. კაი ქალი მეგულება და ხელიდან არ გაუშვას! ინგლისური აქვს დამთავრებული... მართალია, ქართული კარგად არ იცის, მაგრამ ამ ინგლისურ რომანებს, რამდენიც გინდა, თარგმნის... ჰოდა, თარგმანი ფულია, ბიძია!

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ამბავი ჭკუაში დამიჯდა.

მე, ასე თუ ისე, ნაკითხი კაცი გახლავართ და ამ საქმის ასავალ-დასავალი კარგად მესმის...

— მაცალე, მოვიფიქრებ! — ვუთხარი ჩემს მეგობარს. ისიც დამთანხმდა და მთელ ღამეს ამაზე ვფიქრობდი...

— ვთქვათ, დაწერა რომანი ქართველმა მწერალმა, მიიტანა გამომცემლობაში, წაიკითხეს, ეჩხუბნენ ელავიდარბანს და გამოსაცემად მიიღეს. რამდენი ცალი დაიბეჭდება? სამი ათასი, ხუთი ათასი, ვთქვათ, თუნდაც ათი ათასი, ჰე და ჰე! ჭიპზე რომ გასკდეს, ამაზე დიდ ტირაჟს ქართველ მწერალს ვინ მისცემს! — ვფიქრობდი მე.

ახლა ავიღოთ უცხოური რომანი. თარგმნა ის, ვთქვათ, ჩემმა ცოლმა. რომანი კარგია, ცუდია, კარგად თარგმნილია, ცუდად თარგმნილია, ამას მნიშვნელობა არა აქვს... რამდენი ტირაჟით გამოსცემენ?

ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ასი ათასი!

ეს, ძმაო, ორი, სამი ტირაჟია!

ესე იგი, ჩემი ცოლის თარგმანი სამჯერ მეტი ელირება, ვიდრე ქართველი მწერლის ორიგინალური რომანი!

ქართველი მწერალი უნდა დაჯდეს და ახლის წერით თავი იმტერიოს.

ჩემს ცოლს კი უამრავი დაწერილი, მზამზარეული წიგნი ხელთ ექნება!

მთელი ღამე ლოგინში ვბრუნავდი, ვბტუნავდი. ვბორგავდი, სიხარულისაგან კინაღამ შევიშალე...

ღილით აღრე ტელეფონს ვეძებე და მეგობარს დავუ-რეკე:

— ახლავე გაჩნდი აქ, ქალის საქმე გადავწყვიტოთ!

— თანახმა ხარ? — მკითხა მან.

— დღესვე მანახე და ნულარ დავეყოვნებო!

გაუხარდა მაჭანკალს, ქალი შემახვედრა, გამაცნო და... ახლა ის ქალი ჩემი ცოლია...

ზის სამზარეულოში და იქით ხარხოს რომ ხარშავს, აქეთ უცხოური რომანი უდევს და... რუსულიდან თარგმნის...

აქეთ ღომს რომ ამზადებს, იქით ინგლისურ რომანს ჩას-ჩიჩინებს...

— შუშუ ენგლიშენ! — შიშინებს ღომი!

თარგმნის და მოდის ტირაჟები!.. მოდის ტირაჟები და გავხდი მილიონერი!

ახლა უცხოეთის რომანები ჩემი მეწველი ძროხებია... წერეთ, წერეთ, უცხოელო მწერლებო!.. წერეთ, მაგრამ ეს რასა ჰგავს, მცირეფორმიან რომანებზე რომ გადადიო?

ძველებურად, მსხვილტანიანი რომანები წერეთ, თქვენ კაი კაცებო!

— ისევ წერილების განყოფილე-ბაში ხარ?
— კი, ისევ იქ ვმუშაობ.
— კრიტიკული მასალა რომ მოგა-წოდო, გამოაქვეყნებ?
— ვის აკრიტიკებ?
— რადიოკომიტეტის...
— აბ-აბ-აბა! იქ ყველა ჩემი ნაც-ნობი და მეგობარია!
— ნუ გეშინია, ისეთს არაფერს ვწერ. უბრალოდ, წინადადება შემო-მაქვს, უკანასკნელი ცნობების დი-ლის გამოშვებაში სპორტსაც დაუთ-მონ ადგილი შაბათ და კვირა საღა-მოს უკანასკნელ ცნობებს ვერ ვის-ტენ: ხან კინოში ვართ, ხანაც — მო-ყვრებასა და ნათესავებში... ჩაერთავ მთორე დილით რეპორაჟტორს, მსურს გავიგო, როგორ დამთავრდა ესა თუ ის შესვედრა, მაგრამ, გაგი-გონია?... სპორტზე კრინტს არავენ ძრავს.


— „ლელო“ წაიკითხე! ხომ გაქვს გამოწერილი?
— როგორ არა. მხოლოდ დასვენე-ბის დღეებში გაზეთები დაგვიანებით მოაქვთ, ან სულ არ მოაქვთ და პა-რასკევიდან სამშაბათამდე ჭურში ვზივარ.
— შენც გადი და გაზეთები კიოს-კში იყიდე. ორი დღის გაუთვალის-წინებელი ხარჯი არ გაგაღარიბებს.
— ასეც ვაკეთებ, მაგრამ „ლელო-სა“ და „ფუტბოლს“ მაინც ვერ ვშო-ულობ: გამყიდველს გადამალული აქვს და მოგვიანებით ჩუმ-ჩუმად ყიდის სანდო კლიენტებზე ზედმეტ ფასებში. ამაზედაც ვწერ...
— შენ, კაცო, მთელი ქვეყნის მო-თხრა გქონია გადაწყვეტილი. არა, ძმაო, ამდენ ხალხს ვერ მოვიმღუ-რებ!

გურამ შარაშიძე

ნ. ხ. ზორჩინძის



— სამუშაოზე რატომ არ მიდიხარ?
— თონი არა მაქვს!



— ახლა რომ „ვოლვის“ რიგში ჩავდებ, როდის მომიწევს? — 80-90 წელში. — ეს მალაზონია თუ სიცოცხლის გახანგრძლივების ინსტიტუტი?!

თქვენი საბუთები!

ფეხსაცმელების მაღაზიის დახლოებულ კარგა ხანს იდგა, არჩევდა საქონელს. ბოლოს რამდენიმე წყვილი სხვადასხვა ნომერი ფეხსაცმელი ტომარაში ჩააღაგა, პირი მოუკრა და აუჩქარებლად გამოვიდა მაღაზიიდან. ასევე აუჩქარებლად გაჰყვა ქუჩას და ახლა მზა ტანსაცმლის მაღაზიაში შეიარა. აქაც სხვადასხვა ზომის ტანსაცმელი შეიძინა და ქსოვილების მაღაზიაში გადაინაცვლა. ჭრელჭრული ჩითის ქსოვილებმა, შალეულმა და აბრეშუმმა თვალები მოსჭრა. ყველას წაებოტინა, ხელით ყველა გასინჯა. ეტყობოდა, მოსწონდა. გამყიდველს მთელი თოფი იაფფასიანი ჩითი ააზომინა და ისიც ტომარაში ჩადო. შემდეგ ოცი მეტრი თეთრი მიტკალი მიამატა. ის იყო ქუჩაში გამოვიდა, რომ წინ გადაეღობა მილიციელი, რომელიც, რატომღაც, დააეჭვა ქალის უცნაურმა ვაჭრობამ, და ფრთხილად აედევნა.

— ქალბატონო, თქვენი საბუთები, თუ შეიძლება! ქალი შეჩერდა. სავე ტომარა ძირს დადო და გაკვირვებით დაუწყო თვალთვლება მის წინ მდგომ მილიციელს. — თქვენ გეუბნებით, ქალბატონო! საბუთები მაჩვენეთ თქვენი! ქალმა აუჩქარებლად წაიღო ხელი გულის ჯიბისაკენ და მკერდზე მიბნეული გმირი დედის ორდენი აუკიფდა...

ლია ბილანიშვილი



— ამისათვის პირი რომ აუკრავთ, ხელები შეშვართ, აკრებვდა!

ჩემო ტაკილო ეპოპეარო, შენი ნახა შენებრებელი

„სულ ასე დაკავებულნი რომ ხარ, ჩემო სანო, ძალიან მძინარეობს“ — მგობრდნევე გეტყობოდა, საკუთარ თავს არ ეკუთვნოდი, სულ მეგობრებზე იყავი გადაყოლილი. ახლა მასშტაბები შეგიცვლია და ფართო სარბიელზე გასულხარ. ამბობენ, როდესაც ზოგიერთები თავიანთი შესაძლებლობის ზენიტს მიაღწევენ, ან შემთხვევით მალე ინსტანციაში მოხვდებიან. მდგომარეობა თავში უფარდებოდა და მეგობრებს ივიწყებენო. შენ ოღონდ მანდ იჯექი, ჩემო სანო, დაბლა ნუ ჩამოხვალ და ჯანდაბან ჩემი თავი! მეც როგორმე იოლად გავალ. შენ თუ დავაფიწყდი, სხვებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ, ამიტომ მეც არა მივირს რა!

გახსოვს, პირველად რომ დავაწინაურეს, ერთგულების დასამტკიცებლად, „სამადლოზე“ დავბატოე, სუფრა გავიშალე, მეექვსე კვირზე გული ავიწყდა, ვეღარ მიახმინე, გადამეხვიე და გულდაწყვეტილმა მითხარი: — ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომი რომ გქონდეს, მე ვიცი, სადაც დაგნიშნავდი!

სულ მალე გავიგე, რომ იმ ადგილზე ვიღაც ფილოლოგი დაგინიშნავს. სიმართლე გითხრა, ძალიან მეწყინა, რას იზამ, ხდება ხოლმეო, დამამწვიდა კარის მეზობელმა, პურის ქარხნის დირექტორმა — ისტორიკოსმა სერგომ.

მეორედ რომ შეგაწუხე, მითხარი: ინგლისურ ენას რომ ფლობდე, ცოტა ესპანურადაც ლაპარაკობდე, ხო, ხო, რა ადგილი მაქვს თავისუფლოო. მერე მიხვდი, ცუდად რომ გამოგივიდა და მანუგეშე: გულს ნუ გაიტეხ, ჯერ ახალი ვარ, ცოტა დამაცადე, წელში მოვმაგრდები და მერე მე თვითონ გამოგიძახებო.


მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, წელშიც მომაგრდი და მკლავშიც ძალია მოგემატა, უფრო დავაწინაურეს, მაგრამ... მე გული მხოლოდ იმაზე მწყვდება, რომ ხუთჯერ დავბატოე ოჯახში და ერთხელაც არ მოხვდი. ხარჯს ვინ ჩივის, ცოლ-შვილი დავწყვიტე შენი საყვარელი ხინკლისა და ხაჭაპურის კეთებით. რომ მცოდნოდა, არ მოხვიდოდი და პურ-მარილზე წიხლს მიკრავდი, იმ მეფურ საქმელებს ვიღაც ვიგინდარებს შევქმევი და პურმარილიანი კაცის სახელსაც გავითქვამდი.

გახსოვს, ბავშვობაში, ერთ გამხმარ ტარანსა და კახა ლულზე სახინკლეში რომ ვბატოე, ლოტეინის ვორიდან ველიამინოვის ქუჩაზე მდებარე სასაუზმეში თავქუდმოკლეკილი ჩამოირბენდი ხოლმე? ისე რამ შეგცვალა, ჩემო დაუზარელო სანო, რომ ახლა ვაკეში ჯიხვის მწვედებსა და მყვინის წვენი ჩაწყობილ ვარიკებზე უარს ამბობ? გათქვეფისა ხომ არ გეშინია? თავს ნუ მარიდებ, არ იფიქრო, რამეზე შეგაწუხო: ბინაცა მაქვს და საკუთარი მანქანაც, ავეჯიცა და ტელეფონიც, ქვაცა და კაკალოც, ფილიცა და ფილთაქაცა, შვილები უმადლესში ისე მოეწეე, რომ, საკუთარი თავის გარდა, არავინ შემიწუხებია. გახსოვს, ცხონებული ბებიაჩემი თეკლე რომ გარდაიცვალა, ნარიყალის ჩიხიდან პეტრე-პავლეს სასაფლაომდე ბაიარლით ხელში არაქათამოცილი სამგლოვიარო პროცესიას წინ რომ მიუძღოდი? პაპაჩემმა ანდრეაფარმა რალა დავიშავა, მის გასვენებაზე რომ არ მობრძანდი?! მერე როგორ უყვარდი იმ სულტახონებულს! სულ შენს ხსენებაში იყო. ნომრეგანივით არ დავემართოს, სომ გახსოვს, რომ გადიკაცდა, სალამს არ კადრულობდა, ფეხი რომ დაუსხლტა, მერე გაუტყდა სიყვარულის ქოთანს და ახლა სულ ძმობას მეფიცება. შევარცხენე მისი კაცობა! რა თავში ვიხლი ახლა მის ძმობას?! რას იზამ, ასეთი ბედისა ვარ. მთა და ბარი ვის გაუსწორებია? ნუ დაიფიწყებ, რომ წუთისოდის სტემრები ვართ, სოფელი დიდია, ზოგი ადის და ზოგი ჩამოდის. ჩემო სანო, გახსოვდეს, ასვლისას კეთილი მოიბოქმედე, რათა ჩამოსვლისას ხალხთან შეხვედრისა არ შეგარცხვს! გკოცნი შენი პანო!“

თინათი

ინსტიტუტში მოეწყო (ჰყავდა დიდი ბიძია) სამებს ყველა უწერდა (ესეც ბიძის ბიძგია). როგორ მისცეს დიპლომი, არვინ გამოიძია, რადგან ყველამ იცოდა, ჰყავდა დიდი ბიძია. უსწავლელი, უსტაუო, ურეკომენდაციო, ხელად გამგედ დანიშნეს: „ჰყავსო დიდი კაციო!“ გამგის სკამი არ ეყო, გაიწვა-გამოიწია, წამოჭიმეს დიდ პოსტზე (დიდი ჰყავდა ბიძია). ცარიელ თავს ასადებს წმინდანად და უბიწოდ, ლენჩი „კუუას ასწავლის“ ჰკვიანს, მაგრამ... უბიძოს. ყველამ იცის, რომ ავი, უწნეო და ბილწია, მაგრამ ვის აქვს ცხრა თავი? (კაცს ჰყავს დიდი ბიძია). არ მყოფნისო იძახა, ასპარეზი ბაწია! რადგან დიდი ბიძა ჰყავს, იცავს დისერტაციას... ერთიც ვნახოთ, დიდ ბიძას დაბლა ჩამოუბიძგონ, აბა, მაშინ გვიჩვენოს, რა იქნება უბიძოდ? ვანო ცინცაძე

საქართველოს



არწივი კაჭკაჭი

ელვის სისწრაფით გავრცელდა
ტყეში ამბავი ცხელი:
ფრინველთა მეფემ კაჭკაჭთან
მოაწერაო ხელი.

— რაო? როგორ თუ კაჭკაჭთან? —
ატყდა მითქმა და მოთქმა.
— კაჭკაჭი რომ არ შეერთო,
გაწყდა არწივთა მოდგმა?!

მაშინ იქუხა არწივმა:
— კრინტი! იყავით წყნარად!
იქ, სადაც სიყვარულია,
ჰკარგავს კანონი ძალას!..

და ბედნიერი ცხოვრება
დაიწყო ერთმა წყვილმაც:
მზე იყო — მათთვის მზეობდა,
წვიმიდა და — მათთვის წვიმიდა.

ხვეწა-კოცნაში დღეებმა,
როგორც იციან გასვლა, —
თვე თვეზე ისე გავიდა,
დრომ თავი მოიქაჩლა!

ერთ დღეს არწივმა ნისკარტით
გაიხანხალა მხრები,
მალლა ზეცაში აფრინდა,
დაბლა დატოვა მთები.

იყო მინდორი, ჭაობი,
ტევრა იყო თუ სერი, —
არწივმა ყველას ერთბაშად
მოუთაღურა მზერა,

ამ დროს ბუდეში კაჭკაჭი
გულს შემოასკდა ლამის:
თავგადაკლული ტიროდა,
ცრემლებს იწმენდა კაბით:

— მალლა ზეცაში დაფრინავ,
ალარ გახსოვარ სულაც,
ისე მექცევი, ვინ იცის,
იქნებ კიდევაც გძულვარ.

— როგორ ვუყვარვარ, შეხედე!
— არწივს ღიმილა მოსდის, —
ჩაკვლევნებული ამგვარად,
წუთით დატოვე, მოდი!

ცოლთან დაბრუნდა მაშინვე,
თავზე გადუსვა ხელი
და ჩამოცვივდა სითბოში
ფრთის რამდენიმე ღერი.

სხვა დროს, ახოდან მთებისკენ
კაცი იძახდა ვინმე:
— მიეშველეთო! ბულბული
დააჭირაო ქრცვინმა!..

და იმავ წუთში არწივი
წამობრილად ცეცხლად,
რომ მგალობელი ძმაკაცი
მტრის კლანჭებიდან ეხსნა.

— სად მიდისარო?! — კაჭკაჭი
გადაედობა არწივს, —
მე ბულბულში მცვლი? ასე, ხომ?!
თუ არ შეგრცხვება, გასწი!

არწივი შედგა, ჩაფიქრდა:
არის კაჭკაჭი სწორი! —
ერთი რომ ვიყო, კიდევ, ხო!
მყავს შვილები და ცოლი!

...და განმეორდა იგივე,
არა ერთხელ და ორჯერ
(ქალს ქმარი შინ რომ დაება,
ცრემლებს აფრქვევდა მოჭრედ).

ცა ელავს, მეხი გრიალებს,
ქარი ქვეყანას ანგრევს,
ხეს ეფარება უღრანში
სამიწეა თუ სამგლე.

ქარიშხალს მკერდით მიაპობს
არწივთა გუნდა მხოლოდ;
მათი ნიჩბები ფრთებია,
მათი ტიმონი — ბოლო.

არწივსაც უნდა მოძმეებს
რომ გაუსწოროს მხარი.
უნდა მათებურ გააპოს
მკერდით წვიმა და ქარი.

მაგრამ კაჭკაჭი არ უშვებ:
— გაცივდებით ქარში, —
სხვებმა იმტერიონ კისერა,
შენ შენს ოჯახში დარჩი!

ამგვარ ამინდში, ზეცაში
რა დაგრჩენია ან კი?!
როცა ასეთი თავსხმაა,
რაა ბუდეზე კარგი?!

არწივიც რჩება, შეფრთხინვით
შეჩერებია კაჭკაჭს...
ის კი არ იცის, რომ მისი
ფრთები თანდათან გაჭკნა.

ბოლოს, ურთხვლაც გაისმა.
ტყეში ძახილი სირთა:
არწივს უხმობენ ჩიტები
ხიდან, ჯაგიდან, ციდან.



ის არ ჰგონიათ, არწივი
ვინც არის იმათ თვალწინ:
— ნეტა, რა ღმერთი გაუწყრა
— გაიძახიან — არწივს!

ფრთებდაცვენის გარშემო
პირდაპირილი დგანან,
ერთმანეთს ეკითხებიან:
— ეს არწივია განა?!

ზოგი იძახის: — ის არის!
ზოგი იძახის — არა!
— როგორ არ შეეცოდება,
ვისაც უნახავს წინატყევენი
შეხედო, ერთი შეხედო,
კაჭკაჭით არ ფრინავს?!

ქმანო, არწივო, ცოლქმრობას
ვთვლი საჭიროდ და სწორად,
მაგრამ კაჭკაჭი მტერსაც კი
ნუ შეხვედროდეს ცოლად!

ბულგარულიდან თარგმნა
მუხრან მამუზაშვილი



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლშაძე
(პ/მზ. მღივანე),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ბ. ნიუნიანიძე,
(მთავ. რედ.
მოდელი),
ნ. ზველიძე,
ო. ჭელიძე.

საბჭოთა და იუბილური
შუბრალი „ნიანგი“.
თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.

საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემ-
მოლოზა. ხელმოწ.
დასაბ. 13/III 1959 წ.
ქალ. ზომა 70x108 1/8
1 ნაბ. ფურც. 1.4.
ფიზიკურ ფორმათა
რაოდენობა 1.
პირობით ფორმათა
რაოდ. 2. საბ. კვ
ცკ-ის გამომცემლო-
ვის კ/კომპინატი.
თბილისი, ლენინის
ქ. № 14. შპპ. № 635
შპ 02051
ტირაჟი 103.100



პერმანენის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება დასავლეთ ბერლინში წარმოადგენს ბონის რევანსისტული წრეების მისწრაფებას დასავლეთ ბერლინის ხელში ჩასაგდებად.



დასავლეთი
ბერლინი

პრეზიდენტი